

მინიმალური სავალდებულო დოკუმენტები

სატენდერო გარანტია 15 000 ლარამდე:

1. ხელმძღვანელი პირ(ებ)ის მოქმედი პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (ბოლო 6 თვის განახლებული);
3. სოლიდარული პასუხისმგებლობის შემთხვევაში აუცილებელია წარმოადგინოს განახლებული ამონაწერი (ამონაწერი ვალიდურია, თუ იგი განახლებულია ბოლო 10 დღის განმავლობაში);
4. ტენდერის შემთხვევაში - ტენდერის ნომერი;
5. განცხადება.
6. ამხანაგობის შემთხვევაში შემავალი კომპანიების ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
7. ინფორმაცია მოკავშირე კომპანიების შესახებ.
8. შედარების აქტი (rs.ge-დან) გარანტიის/პოლისის გაცემაზე განცხადების თარიღისათვის;

დამატებითი სავალდებულო დოკუმენტები

ა) სატენდერო გარანტია 15,000 ლარზე გვირით და სხვა სახის გარანტიები 150,000 ლარამდე

1. ბოლო ერთი წლის (უფრო მცირე პერიოდის მიხედვით, თუ საქმიანობა ერთ წელზე ნაკლებია) ამონაწერი მომსახურე ბანკ (ებ)იდან დამოწმებული ბანკის მიერ განაცხადის შევსების თარიღისათვის;
2. ინფორმაცია ანალოგიური შესრულებული სამუშაოების შესახებ (პროექტის დამკვეთი, დასახელება, ღირებულება, სტატუსი);
3. სპეციალური რისკების მართვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით – პირის საკუთრებაში რიცხული უძრავ–მოძრავი ქონების ჩამონათვალი (ძირითადი საშუალებები ღირებულების მითითებით). სამსახურის სპეციალური რისკების მენეჯერი/გაყიდვების მენეჯერი/სადაზღვევო აგენტი ვალდებულია გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია (უძრავ ქონებასთან დაკავშირებით) საჯარო რეესტრში;
4. ხელშეკრულების შესრულების გარანტიის შემთხვევაში: წერილის ასლი გამარჯვების შესახებ ან ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი;
5. ავანსის გარანტიის შემთხვევაში: ბენეფიციართან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი;
6. იპოთეკით/გირავნობით დასატვირთი უძრავ/მოძრავი ქონების შეფასება (სერტიფიცირებული შემფასებლის დასკვნა);
7. სპეციალური რისკების მართვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით – გირავნობით დასატვირთი მოძრავი ქონების შესახებ ცნობა შსს მომსახურების სააგენტოდან;

ბ) სატენდერო გარანტია 150,000 ლარზე გვირით და სხვა სახის გარანტიები.

ამავე მუხლის ა პუნქტის მიხედვით წარმოსადგენ დოკუმენტაციას ემატება დამატებით ფინანსური უწყისები:

1. მოგება – მარალი;
2. ბალანსი;
3. საგადასახადო დეკლარაციები (ბოლო ერთი წლის);
4. აუდიტორული დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
 - სპეციალური რისკების მართვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით –სხვა საჭირო დოკუმენტაცია (დეკლარაცია, მინდობილობა,გაშიფრული დებიტორული დავალიანება და ა.შ.);
 - სპეციალური რისკების მართვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით – ცნობა (ან სხვა შესაბამისი დოკუმენტი) საგადასახადო ორგანოდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ;